ოთხშაბათი 8 ივლისი

# სამშობლო

წ. I

**ფასი:** წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით [illegible] 4 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებისფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 123 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 123

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ქვრივი ივლიტა გაბრიელის ასული კოსტავასი, ძმისწულები: იაკობ, ანდრიან და დავით პავლეს ძენი კოსტავები, დისწული ნინა დიმიტრის ასული ყორყოლაძისა, და სიძე ნიკოლოზ თეიმურაზის ძე ყორყოლაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრისას, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი ბიძისას

## გიორგი ბეროს ძის კოსტავასას.

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 9 ივლისს, საკუთარ სახლიდან დადიანის ქუჩაზე დილის 8 1/2 საათზე, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში, წირვის და წესის აგების შემდეგ, დაკრძალვა იქნება საფიჩხიის ეკლესიის გალავანში.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე.

ცალკე ბარათებით დაპატიჟება არ იქნება.

3—2—509.

კნეინა ციცინო ნიკოლოზის ასული ერისთვისა, კნეინა ოლია ვარლამის ასული ერისთვისა და მიხეილ ვარლამის ძე ერისთავი გულითად მადლობას სწირავენ ყველას, ვინც კეთილ ინებეს და პატივი სცეს განსვენებულ

## თ-დ ვარლამ მიხეილის ძის ერისთვის

ხსოვნას და თანაგრძნობა გამოუცხადეს ღრმა მწუხარებაში მყოფთ ჭირისუფლებს პირადი დასწრებით, დეპეშებით თუ წერილებით.

## განცხადება.

ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—3 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## — აბანო. —

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები უოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება სალამოობით. თ.

**გაბრიელ იოსების ძე**
## ექიმი გოკიელის
**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სალ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.** თ.

## დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
**ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან სალამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

## ექიმი რელიგიონი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღებაც თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

**კბილის ექიმები**
**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და სალამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

## ექიმი ი. ჩარექოვი
ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. სალამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

## კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

## ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
**საზაფხულო შენობაში.**

ორშაბათიდან, 6 ივლისიდან, ახალი პროგრამა განსაკუთრებით მოზრდილთათვის.

I

**რუსეთის სამხედრო ქრონიკა** სკობელევის კომიტეტის მე-16 სერია.

II

## ზნე დაცემული

სამ ნაწილათ. ჩერნოვისა და მიჩურინის მონაწილეობით.

მხიარული სურათი **ქმრის შურის ძიება** მხიარული სურათი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან ნაჩვენები იქნება სურათი: **ლუზიტანიის დაღუპვა ანუ მილიარდერის სიკვდილი.**

სობოროსთან, რიქიაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

## ერქომაიშვილისა და ამხ.

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

**ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.**

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას დაეთმობა

**ძლიერ ხელმისაწდომ ფასებში.**

10—3 პატივისცემით ფ. დ. ერქომაიშვილი.

# ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ბრძოლა კოპ-კარმუჯის რაიონში ისევ სწარმოებს. რუსის ჯარმა აიღო სოფ. ტორტონი და ფხრუსი. ოსმალოები განდევნეს არდოსტიდან. სამ ივლისს რუსებმა ოსმალონი კოპთან უკუაგდეს და ოთხი ზარბაზანი ხელთ იგდეს.

ყოლიფრიდან სჩანს, რომ აღმოსავლეთის ასპარეზზე გერმანელებს გადაუწყვეტიათ უკიდურეს ზომებს მიმართონ, „რისკით“ საქმე აწარმოონ და რამდენათაც ეს მოსახერხებელი იქნება, რუსის ჯარი გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაითრიონ. საერთო შეტევა უკვე დაიწყო ყოველი მხრიდან: სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან და ცენტრში გერმანელები ერთნაირი დაჟინებით და თავგამოდებით განაგრძობენ შეტევას. სამხრეთის რაიონში-ლიუბლინ ხოლმის ხაზზე ავსტრო-გერმანელებს წინ წამოუწევიათ და რკინის გზის კვანძს ძლიერ დაახლოვებიან. ამ ხაზზე განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს და ავსტრო—გერმანელები არავითარ ზარალს ანგარიშს არ უწევს. ჩრდილოეთით ვენატასა და ვინდავაზე გადმოსული მტერი ამ მდინარეების ნაპირებზე დამკვიდრდა და ახლა შეტევას განაგრძობს ტუკუმისა და ალტაუცის მიმართულებით. ორჟიცას მარჯვენა ნაპირზე მტერმა დაიკავა სოფ. პოდოსიე და ორჟიცას მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ რუსის ჯარმა მტერი პოდოსიდან განდევნა. მლავის მიმართულებით რუსის ჯარმა უკან დაიხია ვისლისა და ბუგს შუა საერთო იერიშები გაჩაღდა. მტერმა წინ წამოიწია ვეპრჟის მარცხენა ნაპირით. ვისლასა და ბუგს შუა ბრძოლა უმწვერვალესათ გამწვავდა. ლიუბლინის რაიონშიც სასტიკი იერიშები მოაქვს მტერს, მთელი მისი ყურადღებ—მიქცეულია ვილკოლაზის წინაალმდეგ, რუსებმა აქ ერთი დღის განმავლობაში ათი იერიში მოიგერიეს. გერმანელები დაუახლოვდენ კრასნოსტავს. გერმანელები განდევნეს მეტელინის ტყიდან. გერმანელები სცდილობდენ ბუგზე გადმოსვლას ილკოვიცესა და ცელონცესთან, მაგრამ აქედან უკუაგდეს. პრასნიშის რაიონში რუსებმა ისევ უკან დაიხიეს და გადავიდენ ნარევის პოზიციებზე. ამან გამოიწვია რუსების ჯარის შეჯგუფება მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე.

ამ სქემატიური ჩამოთვლიდან სჩანს, თუ რანაირი დაჟინებით ასრულებენ გერმანელები თავის პლანს, გერმანელებს სურთ რაც შეიძლება დააჩქარონ ამ ასპარეზზე გადამჭრელი ბრძოლის დამთავრება და ამის გამო მეტის სიჩქარით და გამბედაობით მოქმედობენ. რუსის ჯარიც ემზადება მათდა შესახვედრათ და შეიძლება მართლაც ამ ცოტა ხანში გერმანელებს აუსრულდესთ მათი საწადილი.

## ექიმი გ. დ. ნასარიძე
შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და სადამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უფეილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**მასაჟით სამკურნალო**
## კაბინეთი
**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

**კავკასიის ასპარეზი.**

**თბილისი.** 4 ივლისი. 2 ივლისს ზღვის პირითს როლა იყო. ოლთისის მიმართულებით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა განდევნეს ოსმალთა რაზმები არდოსტიდან. ჩვენი მზვერავების მეორე ნაწილს შეტაკება მოუხდა სოფ. კელიკთან ოსმალების ნახევარ როტასთან და მეტი ნაწილი ოსმალთა ჯარისკაცებისა დიხვრიტეს, კოპ-კარმუჯის ხაზით ბრძოლა სწარმოებს. ჩვენმა ჯარმა ჩაიგდო ხელში სოფ. ტორტონი და ფხრუსი. ადერბეიჯანის რაიონში ყაზახები ქურთებს ჩაუსაფრდნენ და ზოგი დახოცეს, ზოგი კი ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენ რაიონებში ცვლილება არ მომხდარა.

**თბილისი.** 5 ივლისი. 3 ივლისის განმავლობაში ზღვის პირის მიმართულებით სროლა იყო. გულკის მიმართულებით კორმუნჯის რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ოსმალები უკუაგდო რუსის ჯარმა კოპთან; ოსმალები უწესრიგოთ გაიქცნენ; ამასთანავე რუსებმა ხელთ იგდეს ოთხი ზარპაზანი. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან. 4 ივლისი. ოფიციალური. გოლდინგენ-მურავიოვის ხაზით მტერი დამკვიდრდა ვინდავას და ვენტას მარჯვენა ნაპირზე და განაგრძობს შეტევას ტუკუმის და ალტ-აუცის მიმართულებით. სოფ. პოპელიანის აღმოსავლეთით რაიონში ჩვენ დავახევინეთ მტრის ქვეითა ჯარს. მდ. ორჟიცას მარჯვენა ნაპირით 3 ივლისს ფართე ბრძოლის პირით მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა. მტერმა სამი პოლკით იერიში მოიტანა სოფ. პოდოსიეს წინაალმდეგ, ჩაიგდო იგი ხელში, გადმოვიდა მდ. ორჟიცის მარცხენა ნაპირზე და სამი ზარბაზანი წაგვართვა, მაგრამ შემდეგ მკაცრი იერიშებით, ხიშტებით ბრძოლაში, მდინარეს გადმოსული რაზმები გავწყვიტეთ, ზარბაზნები უკან დავიბრუნეთ და მტერი პოდოსიედან განვდევნეთ,

აქ რიცხვით ორჯერ მეტს მტერს ებრძოდენ ციმბირელი და თურქესტანელი ჯარები და დიდი მედგრობა და გულადობა გამოიჩინეს. მლავის მიმართულებით ჩვენ უკან დავიხიეთ და ცეხანოვის სამხრეთით გადმოვედით, რადგან მტერმა ახალი რეზერვები მოიყვანა. რადომის ჩრდილო-დასავლეთით ყაზახების ბრიგადამ 2 ივლისს შეუტია ავსტრიელების მოწინავე რაზმს სოფ. მოკრჟეცთან, ტყვედ ჩაიგდო 288 ჯარის კაცი, სამი აფიცერი და ორი ტყვიის მტყორცნელი. ვისლასა და ბუგის შუა მტერმა 3 ივლისს ღამით საერთო იერიშები დაიწყო. მტრის იერიშები მდ. პოდპილეს ხაზით ვილკოლაზის აღმოსავლეთით და ბიხავასთან მოვიგერიეთ, მდ. ვეპრჟის მარცხენა ნაპირით მტერმა მკაცრი შეტაკების შემდეგ რამდენიმედ წინ წამოიწია. ჩვენი ჯარი 3 ივლისს საღამომდე იცავდა იზდერნო-კრასნოსტავის ხაზს. ს. გრაბოვეცის აღმოსავლეთით მტერმა 3 ივლისს და მეორე დღეს რამდენჯერმე მოახერხა ჩვენი მავთულების ღობეების გარღვევა, მაგრამ ყოველთვის უკუვაქცევდით სროლით და ხიშტებით. გრუბეშოვის სამხრეთით მდ. გუჩვასა და ბუგის შუა მტერს მკაცრი იერიშები მოაქვს მეტელინ-მასლომენჩეს ხაზით. ამ ხაზის წვერებით ტერიბანთან და ციხობუჟთან ჩვენ კონტრ-იერიშები მივიტანეთ. მდ. ბუგით, სოფ. კრილოვის და სოკალის შუა, აგრეთვე სოფ. კლუსოვთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ და აქ რამდენიმე ტყვედ წამოვიყვანეთ. დნესტრზე და დნესტრსა და ბუგის შუა ბრძოლა მიმდინარეობს ბრძოლის პირის შეუცვლელად. შავ ზღვაში წყალქვეშა ნავმა „დნეპრ“-მა დიდი გემი ქვანახშირით დატვირთული ჩაძირა.

**პეტროგრადი.** 5 ივლისი, ოფიციალური მდ. ვისლასა და დასავლეთ ბუგს შუა ბრძოლამ 4 ილისს უმწვერვალეს განვითარებამდე მიაღწია. რუსის ჯარი მამაცად და მედგრად იგერიებს მოწინაალმდეგის თავდასხმას. ლიუბლინის მიმართულებით მოწინაალმდეგეს მთელ პირზე მოჰქონდა იერიშები, უმთავრეს ძალღონეს ისინი იკრებდნენ ვილკოლაზის რაიონში, სადაც რუსებმა დღის განმავლობაში ათი იერიში მოიგერიეს. დღისავე განმავლობაში დიდძალი ჯარი გერმანელებისა თავს დაესხა რუსების ჯარს მდ. ვეპრჟის მირცხენა ნაპირას. აქ მათ მოახერხეს ჩრდილოეთით წინ წაწევა იზდებნოს რაიონში კრასნოტავის მახლობლად. მიუხედავათ ზარალისა, რუსების ჯარი გმირულად იგერიებდა გერმანელების გააფთრებულ იერიშებს, რომელნიც გვიან დაღამებისას დასრულდა. მდ. ვეპრჟის მარჯვენა ნაპირას 3 ივლისს მდ. ვოლიცაზე მდებარე რუსების სანგრების წინააღმდეგ იერიშების მიტანის დროს, გერმანელები დიდათ დაზარალდნენ. რუსების სანგრების წინ დახოცილ გერმანელთა გვამების მთელი გროვა ეყარა. 4 ივლისს აქ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა გაიმართა. გრაბოვეც-ბერესტეს პირის ნაწილზე 3 და 4 ივლისს გერმანელებს საშინელი იერიშები მიჰქონდათ. განმეორებითი ხიშტების შეტაკების შემდეგ მტერს ხელში დარჩა მხოლოდ რუსების ორი როტის სანგრები. გუჩვასა და ბუჯს შუა რუსებმა მოიგერიეს აუარებელი იერიშები გერმანელებისა და განდევნეს ისინი მეტელინის ტყიდან. მდინარე ბუგზე ილკოვიცესა და ცელონცესთან გერმანელები 4 ივლისს ცდილობდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირას გადასვლას. მაგრამ რუსებმა კარგი კონტრ-იერიშებით ისინი უკუაგდეს. რიგა-შავლის რაიონში გრძელდება გერმანელების შემოტევა ტუკუმსა და ალტაუცზე. ამ მიმართულებით 4 ივლ. ბრძოლები ვითარდებოდა, რომელშიაც ურიცხვ ცხენოსანთა გარდა ორთავე მხრით ქვეითა ჯარიც იღებდა მონაწილეობას. სოფ. პოპელიანიდან აღმოსავლეთით სახეირო იერიშებით რუსებმა 500 გერმანელი ჯარის კაცი და 9 აფიცერი დაატყვევეს. ხელთ იგდეს აგრეთვე შვიდი ტყვიის მტყორცნელი. შავლიდან ჩრდილოეთით მოგერიებულ იქნა გერმანელების იერიში. პრასნიშის მიმართულებით გერმანელები უტევდნენ ფართო პირით, რამაც რუსები აიძულა გადასულიყვნენ ნარიოვის მახლობლად მდებარე პოზიციებზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებელ საჭიროდ გახდა რუსების ჯარის გადაჯგუფვა მდ. ვისლას მარცხენა ნაპირას, რაც დაუბრკოლებლად სწარმოებს. მდ. დნესტრზე 3 ივლისის განმავლობაში რუსებმა თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს მდინარეზე გადასულ გერმანელების რაზმებთან შეტაკების დროს. დღე-ღამის განმავლობაში რუსებმა 2,000 ავსტრიელი დაატყვევეს და შვიდი ტყვიის მტყორცნელი გდეს ხელთ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 4 ილისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუასთან სროლა მიწყნარდა. რამდენიმე ყუმბარა არრასს ესროლეს. მდ. ენის მარჯვენა ნაპირს ტრაიონის რაიონში სანაღმო ბრძოლა და გამწვავებული სროლა ზარბაზნებისა. რეიმსს 20 ყუმბარა ესროლეს. კერძო პირთაგან ერთი მოკლულია, ერთიც დაჭრილი. არგონებში შედარებით სიწყნარეა, ქვეითა ჯარი უმოქმედოდაა. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირს, წარსული ღამით სროლის შემდეგ, გერმანელებმა გაშაგებული იერიშები მიიტანეს ფრანგების პოზიციების წინააღმდეგ, რომელნიც კოლონიდან სოფ. ეპარჟამდე მდებარეობდენ. ზონვოს ხევის სამხრეთით მდებარე სიმაგრეების ჯგუფთან გერმანელებმა მხოლოდ ერთ ალაგას შესძლეს სანგარში გამაგრება, რომელიც ფრანგებმა 23 ივნის წაართვეს. რამდენიმე გერმანელი, რომელთაც ხევში შესვლა მოახერხეს, ან დახოცილია, ან ტყვედ წაყვანილი. სონვოსა და კოლონის სიმაგრეებს შუა გერმანელები აგრეთვე უკუგდებულ იქნენ დიდის ზარალით. აპრემონის ტყესთან ზარბაზნების სროლა გრძელდება.

**პარიზი.** 5 ივლისი. დღის ოფიციალური ცნობა. ღამემ შედარებით წყნარად ჩაიარა; არაფერი შესამჩნევი არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საარტილერიო მოქმედებას ბელგიაში და სენ-ჟორჟის მახლობლად, არტუაში და სუშეს რაიონში, გერმანელებმა 3 ივლისს იერიში მიიტანეს ფრანგების მიერ დაპყრობილ სანგრებზე ლაფონტენელთათ; საიერიშოდ ძრიელი ბატალიონი მოდიოდა, რომელნიც, როგორც ადგილობრივ გამოირკვა, ძლიერ დაზარალდა.

### ზ ღ ვ ა ზ ე.

**ლონდონი.** 5 ივლისი. წარსულ პარასკევს ჰოლლანდიის გემმა ბერლინში მიიყვანა რუსების გემის „ბალვას“ მეზღვაურნი, რომელიც დაღუპულია გერმანელების წყალქვეშა ნავის მიერ შოტლანდიის კუნძულების პირდაპირ.

**ნიუკესტლი** 5 ივლისი. უბაროგოდ ჩამოვიდა ნორვეგიის საფოსტო გემი „ვეგა“. კაპიტანმა განაცხადა, რომ გემი ხუთშაბათს გერმანელების წყალქვეშა ნავმა შეპყრო ჩრდილოეთის ზღვაში, ნავმა აიძულა ზღვაში გადაეყარა ბარგი 160 ყუთი ორაგული, 800 ბოჭკა ერბო და 4000 კოლოფი სარდინკა.

**სტოკჰოლმი.** 5 ივლისი. კარლსკრონადან იუწყებიან, რომ ჰაეროპლანი ორი მფრინავით ზღვაში ჩავარდა. მფრინავები იყვნენ ლეიტენანტი მალმკვისტი და გრაფი გამილტონი. ორივენი დაიღუპნენ.

**რომი.** 3 ივლისი. მთავარ შტაბის ცნობა. მდ. ვალკამონიმას სათავეში მტერმა გადმოლახა ვენერეკოლოს და ბრიტიოს სიმაღლენი და შეეცადა რაფუჯიო გარიბალდის ახლო მდებარე ჩვენი პოზიციის დაჭერას; მაგრამ დიდის — ზარალით უკუვაქციეთ და რამდენიმე ტყვე წავართვით. იტალიელებმა უკუაქციეს რა მტერი, ორივე სიმაღლე მკვიდრად დაიჭირეს, რომელთა სიმაღლე 3000 მეტრს აღემატება. კარნიაში მტერმა ბურუსით და სიბნელით ისარგებლა და ორჯელ მკაცრი იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. მტერს მოუკალით 33, მათში ერთი ოფიცერი, იზონცის მიდამოებში მდგომარეობა არ შეცვლილა. მტერი პატარ-პატარა რაზმებით უმთავრესად ღამ-ღამობით ყოველთვის ცდილობს არტელერიის სროლით ჩვენი წინსვლა შეაჩეროს და ჩვენი არტილერიის სროლა გამოიწვიოს, რათა გამოარკვიოს ჩვენი პოზიციები.

**რომი.** 4 ივლისი. ავსტრიელთა სამი ჰაეროპლანები ბორის გადააფრინდნენ და 8 ყუმბარა ჩააგდეს. მოკლულია 6, დაშავებულია რამდენიმე კაცი.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### აღმოსავლეთის ფრონტზე.

**ვარშავა.** აქ იუწყებიან, რომ გერმანელ უფროსთა განკარგულებით ლოვიჩის მაზრაში ბონკუვში, ბედნიაცში, ბელხუვში, ბელიავაში, დომანევიცაში და ვალმიცევში დახურეს ეკლესიები. ზარები ჩამოიღეს და გაგზავნეს გერმანიაში. სამრეკლოებზე გერმანელებმა მოაწყვეს სადარაჯო პუნქტი „ნ. ვ.“

**კიევი.** აქ ჩამოიყვანეს 88 ტყვე აფიცერი 22 გერმანელია, დანარჩენი ავსტრიელი. ავსტრიის აფიცრებთა შორის ურევია გრაფი პოლოცკი — დიდი მემამულე პერემიშლის ახლო. ნ. ვ.

### მოწინაალმდეგეს გამაგრება ზოლოტაია ლიპაზე.

ზოლოტოია ლიპის მიდამოებში ორივე მხრით ამ დღეებში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა იყო. მტერი ალაგ-ალაგ ძლიერ გამაგრებულია.

„ბერლინ ტადემ“ იუწყება, რომ დელკასეს შვილი (საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრისა) იმყოფება ტყვეთ 6 ფრანგის აფიცრებთან ერთათ სამხედრო ციხედრო ციხე შპანდაუში. კაიზერმა ვილჰელმმა უარი გამოუცხადა პრინცს ფრიდრიხ-კილჰელმს პრუსიისას ფრონტზე წასვლისათვის.

### ბულგარელი ბრბოს შეჭრა სერბიაში.

ბულგარელი ჩეტნიკები ისევ შეიჭრენ კრატოვას და კოჩანას მიდამოებში. მოკლეს მამასახლისი და ჟანდარმი. ორვენირიდის ახლო შეიჭრა 80 ბულგარელი, რომელთაც მისდევდნენ სერბიელები; ცნობაა, რომ შემდგარია ახალი ბრბო სერბიაში შესაჭრელათ.

### იოან ჰუსის ხსოვნას.

**სოფია.** ადგილობრივმა ჩეხთა კოლონიამ განსაკუთრებით იდღესასწაულა წელს დიდი სლავიანელი იოან ჰუსის 500 წლის მოწამებრივი სიკვდილი. სლავიანელთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბომჩევმა სიტყვა წარმოსთქვა და დაახასიათა ჰუსის ღვაწლი და მნიშვნელობა; დაესწრო ყველა პარტიის მეთაურები, მრავალი ხალხი და რუსის მისსიის მდივანი კუტლუბოვსკი.

**პარიზი.** 29 ივნისი. იტალიის ელჩმა ბ. ტიტონმა გარდასცა პარიზში პრეზიდენტ პუანკარეს ანუნციატის ორდენის ჯაჭვი, რომელიც გამოუგზავნა მას იტალიის მეფემ ეროვნული დღესასწაულის ნიშნათ.

ეგ ორდენი, რომელსაც გიძღვნის, ჩემი მეფე, განაცხადა იტალიელმა ელჩმა, ღებულობს განსაკუთრებულს ხასიათს ამ დროს, როცა სისხლის მღვრელი ომი გვაერთებს ურიერთ დასახმარებლათ ქვეყნის თავისუფლებისა და ეროვნული პრინციპის დასაცველათ.

„ჩვენ ვამაყობთ, — უპასუხა პუანკარემ, რომ ვიბრძვით თქვენთან და ყველა ჩვენს მოკავშირეებთან ერთათ თავისუფლების დასაცველათ და სიმართლის აღსადგენათ.

# იან ჰუსი.

(იხილე დამატ. მე-20 №.)

6 ივლისს შესრულდა სწორედ 500 წელიწადი მას შემდეგ, რაც საშინელ ცეცხლის ალში დასწვეს და დახრაკეს სრულიად უდანაშაულო, სიმართლისთვის მებრძოლი და თავის ერის მოსიყვარულე იან ჰუსი.

ხუთასმა წელმა განვლო, რაც დიდს კოცონზე მაღალს ბოძზე მიკრულმა და ცეცხლის ალში გახვეულმა იან ჰუსმა მთელს მსოფლიოს უჩვენა საუცხოვო მაგალითი დიდ-სულოვნობისა, სიმართლის სამსახურისა და თავის სამშობლოს უანგარო სიყვარულისა.

ამ არა ჩვეულებრივ ადამიანს თავის სიცოცხლეში მიზნათ მხოლოდ სიმართლის სამსახური ქონდა დასახული; ის ემსახურებოდა სიმართლეს, მითი ცხოვრობდა და მის სამსახურს შესწირა თავი.

ის არ ყიდდა თავის სინდისს და სამშობლოს თავისუფლებას ოქრო მარგალიტებში და არც ზოგიერთ გადაგვარებულ „უმადურ მამულიშვილებივით“ ჩინ-ორდენებს ანაცვალებდა თავის რწმენას.

სწორის გზით, უკან მოუხედავათ მიილტვოდა სიმართლის აღსადგენათ და კიდევაც მის წმინდა სამსხვერპლოზე ზვარაკად მიიტანა თავისი თავი. ამიტომ დღეს, როდესაც სრულდება ხუთასი წელი, რაც ის სიცოცხლეს გამოასალმეს, ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიგონებთ ამ საუცხოვო ადამიანის ცხოვრებას და მის მოძღვრებას.

იან ჰუსი დაიბადა 1369 წელს დაბა გუსინეცში, ჩეხიაში. მისი დედ-მამა ნამეტანი ღარიბები იყვენ. ჯერ კიდევ პატარა იყო იანი, როდესაც მას მამა მოუკვდა და ოჯახი მეტათ გაჭირვებულს მდგომარეობაში დარჩა. დილიდან საღამომდე პატარა იანის დედა სულ საქნარში იყო, ძალღონეს არ იზოგავდა და თავის საყვარელს შვილებს დღიურს ლუკმას აჭმევდა. მაგრამ ასეთი აუტანელი ცხოვრება ჩქარა მოსწყინდა საბრალო ქალს; მას სურდა სიღატაკედან თავი დაეხწია და თავისი შვილები კარგს გზაზე დაეყენებია. ამ მიზნით მან მიმართა ერთს მდიდარს მემამულეს და შემწეობა თხოვა შვილის გამოზრდაში. მემამულე კეთილი გულის ადამიანი გამოდგა და დახმარება აღუთქვა. მაშინ დედამ წაიყვანა თავის პატარა იანი მახლობელ სამაზრო ქალაქ პრახატიცაში და იქ მიაბარა პირველ-დაწყებით სკოლაში.

„ყური დამიგდე, იან, ეუბნებოდა დედა მისი გამოთხოვებისას, კარგათ მოიქეცი, ბეჯითად ისწავლე..., ხომ იცი მე არაფერი მაბადია, თუ შენ ცუდათ ისწავლე, მაშინ ის ჩვენი დამხმარე ადამიანი შენზე გულს გაიტეხს, ხელს აღარ გაგვიმართავს, მე კი იმდენი შეძლებაც არ მაქვს, რომ ერთი რიგიანი ტანისამოსი შეგიკეერო“. ამ სიტყვების შემდეგ დედამ მაგრათ ჩაიკრა გულში საყვარელი შვილი, დიდ ხანს აფრქვია ცხარე ცრემლები მის ხუჭუჭა თმას და შემდეგ იქვე სკოლის დარაჯთან მოუნახა ბინა.

ამ დღიდან იწყება იანისათვის ახალი ცხოვრება. იმ დროს თავისუფლება შეზღუდულს ჩეხის სკოლებში ნამეტანი სასტიკი სწავლა აღზრდის წესები იყო გამეფებული. ბავშვებს შეუგნებლათ აზეპირებინებდენ საგნებს, ნორჩი არსების ჭკუა-გონებას რკინის სალტას აკრავდენ და ხდიდენ მათ ბრმა იარაღათ. პატარა იანსაც რა უნდა ექნა? მეტი გზა არ იყო, მასაც უნდა ეზეპირებინა საგნები, რომ არ გაეჯავრებინა დედა მისი და მათი დამხმარე მდიდარი ადამიანის გულის წყრომა არ დაემსახურებია. განვლო რამდენიმე წელმა.

იანმა ჩინებულათ დაამთავრა სწავლა პრახატიცის სასწავლებელში და შემდეგ უნივერსიტეტში წასვლას ფიქრობდა. მაგრამ, რა გზით? რა უნდა ექნა? სახსარი არაფერი ქონდა და თანაც გული უკვდებოდა, როდესაც ხედავდა ამხანაგებს უნივერსიტეტში გამგზავრებულებს.

„წამოდი ჩვენთან, იანო“, ეუბნებოდენ ამხანაგები, ფეხით წავიდეთ საუნივერსიტეტო ქალაქ პრაგაში, ღმერთი მოწყალეა იქნებ როგორმე თავი ვირჩინოთ და სწავლაც მივიღოთ“.

მაგრამ იანი პრაგაში წასვლას ჯერ კიდევ ვერ ბედავდა. ზაფხულზე ის წავიდა თავის სამშობლოში დედასთან, რომელიც მეტის შრომისაგან ძალზე მოხუცებულს გავდა. მთელი ზაფხული სახლში დარჩა იანი. მუშაობდა რაც შეეძლო, ყოველიფერს ოჯახის საქმეს ასრულებდა და თანაც უნივერსიტეტში წასასვლელად ემზადებოდა. აი კიდეც გავიდა ზაფხული და „დადგა შემოდგომა. შრომით დაქანცულმა იანმა მოძებნა ხალთა, გაავსო შავი პურებით, მოიკიდა ზურგზე, გამოეთხოვა დედას და ფეხით გასწია ქალაქ პრაგას, უნივერსიტეტში სასწავლებლად. როდესაც იანი ქალაქის კარებს მიუახლოვდა, უცბად შეჩერდა. უზარ-მაზარმა შენობებმა, ქალაქის გამოურკვეველმა ხმაურობამ დააფიქრა იანი რა უნდა ექნა? ვისთან უნდა მისულიყო ? ვინ გაათევინებდა ღამეს? ვინ გაუმართავდა ხელს?..

ამ დღიდან იწყება იანის აუტანელი ცხოვრება. ის ეწერება მოხეტიალე მოსწავლეთა რიცხვში და მათხოვრობით ირჩენს თავს, მაგრამ სწავლას მაინც გულმოდგინეთ კიდია და ყველა ლექციებს ისმენდა უნივერსიტეტში. ასეთი ცხოვრება მეტათ მობეზრდა იანს. მუდამ მშიერი იყო და ნახევრად ტიტველმა არ იცოდა რა ექნა.

ერთხელ, როდესაც ის ნაღვლიანი სახით ქუჩაში მიდიოდა, მას შეხვდა მისი ძველი ამხანაგი. იანს ძლიერ გაეხარდა მისი ნახვა. მან უამბო ამხანაგს თავისი აუტანელი მდგომარეობა. ამხანაგმა მის სიტყვებზე ერთი გულიანათ გადიხარხარა და უთხრა:

„განა მაგნაირი ცხოვრება საჯავრელია? მე თვითონ მოველ ამ ქალაქში უფულოდ, ეხლა კი, მადლობა ღმერთს, თუ მდიდრულათ არ ვცხოვრობ, მაძღარი მაინც ვარ. პირველად მეც შენსავით მოხეტიალე ძოწაფე ვიყავი, მათხოვრობით ვირჩენდი თავს, ეხლა კი სულ სხვანაირად მოვეწყვე: ვცხოვრობ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთან, დილით ადრე, უწმენდავ ტანისამოსს, ვალაგებ ოთახებს და შემდეგ კი ლექციებზე დავდივარ.

თუ გინდა მეც გიშოვნი ადგილს პროფესორთან და ჩემსავით მოგიწყობ საქმეს. მე ვიცი „ერთი პროფესორი, რომელმაც გუშინ მოსამსახურე დაითხოვა, აი თუ გინდა იმასთან წაგიყვან და ჩემსავით ემსახურე“. იანს მეტათ მოეწონა ამხანაგის რჩევა და სიხარულით წაყვა პროფესორთან. პროფესორმა ჯერ გამოკითხა ვინაობა, მერე ხასიათი იკითხა და შემდეგ უთხრა:

„ძალიან კარგი, გატყობ რომ შენ კარგი ხასიათი გქონია გქონია. მე დავითხოვე ჩემი მსახური მიტომ, რომ ის ლოთი და ზარმაცი იყო. შენც ისე დაგითხოვ თუ ცუდათ მოიქცევი... შენ მე ჩექმები და ტანისამოსი უნდა მიწმინდო. ოთახები დამილაგო და სხვა საქმები მიკეთო. მაგიერად მე ბინას, საზრდოს და საჭირო ტანისამოსს მოგცემ.

ახალგაზრდა იანი უთენია „დგებოდა ზეზე, ალაგებდა ოთახებს, გაუწმენდავდა თავის პროფესორს ტანისამოსს და შემდეგ ლექციების მოსასმენად მიეშურებოდა უნივერსიტეტში. დიდს ნიჭს და ენერგიას იჩენდა იანი სწავლაში. მისი პროფესორი მეტათ გაკვირვებული იყო და ვერ გაეგო, თუ როდის ასწრებ-

# ინგლისი ომის წინაშე.

(დასასრული, იხ. „სამშობლო №-122).

ჩვენ არ ვამბობთ ინგლისის ნებაყოფლობითი სისტემა დამარცხდაო (?) სწერენ თავის მოწოდებაში ოქსფორდის 15 პროფესორი, ამ სისტემას მხოლოთ ჯერ კიდევ არ მოუცია ყველა ის, რაც ჩვენთვის საჭიროა: საკმაო ჯარის კაცი, ტყვია წამალი და სულის სიმტკიცე. არც პირველი, არც მეორე და მესამე (დისციპლინა, ეკონომია და ერთობა) ჩვენ არ მოგვეძევა, რაც ნაციონალურ კატასტროფამდე მიგვიყვანს. ამიტომ ინგლისი სამხედრო ნიადაგზე უნდა დადგეს; აუცილებლათ საჭიროა დაუყონებლივ, შემოღებულ იქნას კანონი სავალდებულო „ნაციონალურ სამსახურის შესახებ როგორც ჯარში, ისე ქარხნებში“.

ლლოიდ ჯორჯიც ღრმად ჩააფიქრა იმპერიალისტების ქადაგება-გამოსვლამ და მან მანჩესტერში, 3 ივნისს, შემდეგი კომპრომისი გააკეთა, მან სთქვა: „კონსკრიპცია“ [ჯერ-ჯერობით საჭირო არ „არის, ვინაიდან ახლა ვოლონტერები მეტია შეკრებილი, ვიდრე სამხედრო მასალა. ამიტომ ამ მომენტში მთავარი ყურადღება მრეწველობის მოწყობას უნდა მივაპყრათო.

რას უპასუხებენ ამათ „ანტი იმპერიალისტები ანუ „ანტიკონსკრიპციონისტები“?.

— სავალდებულო სამხედრო ბეგარა საჭირო არაა, ამბობენ ისინი, რადგან ყველა კლასებიდან თავისნებით გამოვიდენ სამშობლოს დამცველნი: მუშები, ფერმერები, ლორდები, ადვოკატები, ექიმები, ინჟინერები, მეფაბრიკენი და ხუცებიც კი ჯარის კაცის მუნდირში გამოეწყვენ და დაემორჩილენ მოქალაქის მოვალეობას და არა ბრძანებას... კონსკრიპციონისტები ძალიან ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ომმა ინგლისის ხალხის ხასიათი შესცვალაო. სულაც არა! ბრიტანეთის მუშები სხვა ქვეყნის მუშებზე ბევრ რამეში უკეთესები არიან. მაგრამ პირად დამოუკიდებლობას ისინი ისე აფასებენ, როგორც სიცოცხლეს, ისინი „მზათ არიან ყველაფერი შესწირონ სამშობლოს, მაგრამ არა ძალდატანებით.

ჩვენ ,ამბობენ ლიბერალები, განსაკუთრებული ხასიათის დემოკრატები ვართ; ამიტომ სხვა ქვეყნის მეთოდი და სისტემა ჩვენთვის არ გამოდგება. ჩვენ-ჩვენი საკუთარი მეთოდი და საკუთარი სისტემა გვაქვს ამიტომ რა საჭიროა „კონსკრიპცია“. ჯარს რამდენიც გვინდა და როცა გვინდა მაშინ შევკრებთ. „ბრიტანეთის ვოლონტერებისაგან („დრუჟინიკებისგან“) შემდგარი არმია შესანიშნავი ლაშქარია“. და აქედან ჩვენს „კონსკრიპციონისტებს“ ტყუილა უნდათ გერმანიის მილიტარიზმის მსგავსათ ინგლისის მილიტარიზმი შემოიღონ... საქმე პრუსიის მილიტარიზმის განადგურებას შეეხება, რადგან იგი თავისუფალ ქვეყნების მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს!

ამიტომ ჩვენ მხოლოთ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ჩვენს ხალხს თავიდან ავაშოროთ ის შხამი და საწამლავი, რომელსაც ჩვენ ახლა ვებრძვით“. ლორდ კიტჩენერიც (სამხედრო მინისტრი) დღემდე მომხრეა ნებაყოფლობით ჯარში სამსახურისა, რადგან მისი აზრით ინგლისის ჯარის კაცი მრავალი თვისებით მაღლა დგას სხვა ქვეყნების ჯარის კაცზე.

რას ამბობენ თვითონ მუშები, რომელთა წრიდან იკრიბება უმთავრესათ ჯარი?

ისინი, როგორც განახლებულ პარლამენტის სხდომაზე აღმოჩნდა, „პრუსიელების იდეალის სასტიკი მოწინააღმდეგე არიან და ამბობენ: „რატომ უნდათ პრუსიელობა კისერზე მოგვახვიონ? მუშამ—კომმონერ კრუკსმა—განაცხადა, რომ მუშები თავის სამშობლოს დასაცველათ არაფერს არ დაზოგავენ, მაგრამ ამასთანავე ნებას არავის მისცემენ, რომ მათ ვინმე „კინწის კვრით ერეკებოდეს“.

და მართლაც მუშათა კლასის სადღეისო ინტერესების თვალსაზრისით „კონსკრიპცია“ მავნებელია, ამიტომ ინგლისში იგი, სადაც ტრედიუნიონიზმი მეფობს, ცხადია, ვერ გავა.

ამნაირათ ინგლისის იმპერიალიზმს მუშების სახით სასტიკი მოწინააღმდეგე უჩნდება, რაც მისთვის გარდუვალ დაბრკოლებას შეადგენს.

აქედან ინგლისის იმპერიალიზმს მომავალი აღარ აქვს, მაშასადამე ინგლისი კვლავ თავის ძველ ქერქში, თავის ძველი პრინციპის „lesse fer, lesse passe“ ს მიმდევარი უნდა დარჩეს და იმით უნდა დაკმაყოფილდეს: კაცობრიობის ბედადობა მას „არ უწერია“ და როგორც „მოკავშირეთა“ წინამძღოლი ძალიან სუსტია და ორპოფი.

დე—ლი.

---

და იანი გაკვეთილების დასწავლას და განვითარების მიღებას.

ერთ ღამეს პროფესორს ძილი გაუტყდა. ის ადგა ზეზე და ოთახში სიარული დაიწყო. შუა ღამე გადასული იყო. ამ დროს სამზარეულოდან ხმაურობა მოესმა. მან ყური დაუგდო და იანის ხმა იცნო, პროფესორი ფეხ-აკრეფით მივიდა სამზარეულოსთან და ფანჯრიდან ლამპის შუქთან გაარჩია სკამზე მჯდომარე იანი, რომელიც წმენდავდა პროფესორის ჩექმებს და თანაც გაკვეთილებს იმეორებდა.

„შენ მანდ რას ბურდღუნობ?“ კითხა გაოცებულმა პროფესორმა, იანი უცბათ ზეზე წამოხტა და კალთიდან რაღაც ფურცლები გადაუცვინდა.

„უკაცრავათ, მაპატიებთ,“ ხმის კანკალით ეუბნებოდა იანი, „ეხლავე,... ეხლავე მოგართმევ გაწმენდილს ჩექმებს... მე არ მეგონა, თუ ასე ადრე ადგებოდით.“

„მითხარი, შენ მანდ რას ლაპარაკობდი? მიჩვენე ეგ ქაღალდები“. იანმა მიაწოდა პროფესორს უბიდან გადმოცვენილი ქაღალდები. ეს იყო კონსპექტები სხვა და სხვი წიგნებიდან ამოღებული. პროფესორს ძრიელ გაუკვირდა, თავი გადააქნია და კითხა: „როდის ასწრებ ხოლმე ამდენს მეცადინობას?“

„დილა... საღამოს... ღამით... როდესაც თქვენ გძინავსთ“... უპასუხა იანმა. პროფესორმა თავი გადააქნია დაგაკვირვებული თავის ოთახში დაბრუნდა.

აი ასე ბეჯითად ეკიდა იან ჰუსი თავის საქმეს და მანაც შესანიშნავად გაათავა უნივერსიტეტი. მან მიიღო მაგისტრის ხარისხი, ეკურთხა ღვდლათ და იქვე პრაგის უნივერსიტეტში დატოვეს პროფესორათ და შემდეგ კი რეკტორათ აირჩიეს.

ეხლა, სანამ იან ჰუსის მოძღვრებაზე და მის ცხოვრებაზე რამეს ვიტყოდეთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ ისტორიას და მოვიგონოთ ის დრო და ის ქვეყანა, სადაც იან ჰუსი დაიბადა და გაიზარდა.

იან ჰუსი დაიბადა ჩეხიაში. ჩეხია პატარა ქვეყანაა და დასახლებულია ჩეხებით, რომლებიც ძველათ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. მე IX საუკუნის დამლევს მათ მიიღეს ქრისტიანობა და კიდევაც მტკიცეთ ასრულებდენ თავის სარწმუნოებას. მეათე საუკუნის დასაწყისში გერმანელებმა დაიმორჩილეს ჩეხები და შეუზღუდეს უფლებები. ჩეხებს შერჩათ თავისი მართვა-გამგეობა და მიეცათ ნება ყოლოდათ საკუთარი მმართველი, რომელსაც გერმანელებმა კაროლის ტიტული მისცეს. ასე იყო მე XVI საუკუნემდის, სანამ ავსტრია ჩეხიას არ შეუერთეს. ამ დროიდან ჩეხიის მართვა-გამგეობა ავსტრიელების ხელში გადავიდა და ეხლაც ჩეხია ავსტრიის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს.

გ. ნიჟარაძე-

(შემდეგი იქნება).

---

# მერმე და მერმე...

ვინცა სთქვა „ანი“, მან „ბანიც“ უნდა სთქვას. ქუთაისის ქართული გიმნაზიაში მომხდარი ამბავი აღმოცენებულია იმ ნიადაგზე და გაზრდილია იმ ატმოსფერით, რომელიც იქ მეფობს. ეს ნიადაგი და ეს ატმოსფერა კი საზოგადო ქართულია. ეს ჩვენი საერთო ცოდვაა და რადგანაც ნათქვამია—ცოდვა გამოტეხილი სჯობიაო, უნდა ვსთქვათ, რა დანაშაულობა მაუძლვის ქართველ საზოგადოებას, რომ ყველა ჩვენს საზოგადო დაწესებულებებში მხოლოდ ცოდვებს მოუყრია თავი. პრესა საუკეთესო ჩირაღდანია იმ ბნელ ლაბირინტების გასაშუქებლათ, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება. ვისაც ეს ჩირაღდანი უჭირავს, არც კვამლის უნდა ეშინოდეს, არც იმ სულშემხუთავ ჰაერისა, რომელიც დაგუბებულია ამ ლაბირინტებში.

გვაქვს რა სახეში ამ ჟამათ ქართული გიმნაზიები, ჩვენ უარს ვამბობთ იმ ნაკლთა კრიტიკაზედ, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვთ. მაგრამ მათ აქვთ ისეთი ნაკლიც, რომლის წარმოშობის ხასიათი ადგილობრივია, ჩვენივე საკუთარ რუტინით არის გამოწვეული. ძნელია სათქმელათ, რით უფრო ვზარალობთ ხოლმე, იმით, მაგალითად, რომ ჩვენ არა გვაქვს უფლება სამინისტრო პროგრამმა საუკეთესოზედ შევსცვალოთ, თუ იმით, რომ ჩვენ ხშირათ იმასაც გვერდს უვლით, რის გაკეთებასაც ეს პროგრამა ნებას გვაძლევს. აქედან მკითხველი იმას ნუ წარმოიდგენს, რომ ჩემი ბრალდება სწორეთ ამაზე უნდა დავაფუძნო. ვგრძნობ რა იმას, რომ ეს საბუთი სხვაზედ ნაკლები არ არის ბ იგი ის მარყუშია, სადაც თავის ნებით გაუყვიათ თავი ჩვენი გიმნაზიების მეთაურებს, მე მაინც გვერდს უვლი მას, რადგანაც კარგათ ვიცი, რომ ჩვენ ისეთი მელები გყვანან, რომლებიც ამ მარყუშშიაც თავისუფლათ გაძვრებიან. მე მინდა მკითხველის ყურადღება იმ გაუვალ კედლებს მივაქციო, რომელსაც მიადგა ჩვენი სასკოლო ცხოვრება და რომელშიაც გაძრომა ყოვლად შეუძლებელია. ამ კედლებთან ჩვენი სასკოლო მდინარე შეჩერდა და განათლების ანკარა წყარომ აშმორებული გუბე გააკეთა.

ჩვენ გიმნაზიებში სკანდალებმა ხრონიკული ხასიათი მიიღეს, ის დღე—წლის ბოლო, როდესაც ჩვენი ახალგაზდობა სიმწიფის ატესტატის მისაღებად მიდის—დღე არის ამ ახალგაზდობის ტანჯვისა. ცოდნის ეგზამენი ნერვების ეგზამენად ევლინება მას და მთელი საზოგადოება მონაწილე ხდება ბავშვის სულის ამ ტრაღედიისა. რითი გვამშვიდებენ მაშინ ჩვენ ისინი, ვინც პასუხის მგებელნი არიან ქართველი ბავშვების მწარე ბედისა. რითი ხსნიან იმ მოვლენას, რომ ჩვენი ბავშვები ვერ უძლებენ გამოცდას, მართალია სასტიკ და გაზვიადებულ გამოცდას-

. . . . .

. . . . .

. . . . .

. . . . .

მაგრამ სწორედ სიწმინდე პატრიოტულ გრძნობებისა მოითხოვს ჩვენგან- რომ ეს ჭეშმარიტება იმ ფარდათ არ გავხადოთ, რომელსაც იმიტომ ვეფარებით, რომ სიცრუე ვსთქვათ. ის ფაქტი, . . ყველაზედ დიდი საბუთია ჩვენის ტანჯვისა კაცობრიობის სინიდისის წინაშე და იგი მუდამ ისე წმინდა, ისე სუფთა უნდა იყოს, როგორც ჭრილობა გულისა. არავითარი ჩირქი სიცრუისა, არავითარი ჭუჭყი სიყალბისა მას არ უნდა გაეკაროს. თუ არა, შეიძლება ჭრილობამ მთელი ორგანიზმი მოსწამლოს. ხალხი, რომელიც ტანჯვაშიც კი სცრუობს, ვერასოდეს პატივისცემას ვერ მოიპოვებს და მთავარი კი ის არის, რომ იგი სრულიად დაჰკარგავს ალღოს იმის გაგებისას, როდის სდევნიან მას ჭეშმარიტათ და როდის არა.

ერთი აშკარა სურათი ჩვენის მონამებრივის სიცრუისა ჩვენი გიმნაზიებია. მე ღრმათ მწამს, რაკი მთავრობამ ნება დაგვრთო ჩვენი საკუთარი გიმნაზიები გვქონოდა, იგი იმასაც ფიქრობდა, რომ მათი შევიწროება ყველაფერში, არავითარის აუცილებლობით არ არის გამოწვეული. მართლაც, რათ უნდა შეავიწროვოს მან ისეთი სასწავლებელი, რომელიც არსებითად იგივე რუსულია, სადაც პროგრამა რუსული გიმნაზიებისაა და სადაც რუსული ენა ისევე გაბატონებულია, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებში. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენის ფულით, ჩვენის ენერგიით და ჩვენის ცოდნით რუსულ სახელმწიფო იდეას ვემსახურებით. სულ სხვა არის, როცა განხორციელდება ახალი კანონი დედა-ენაზედ სწავლების შემოღებისა—შევიწროების ხანა შესაძლებელია მაშინ დაუდგეს ჩვენს გიმნაზიებს—მაგრამ ამ ჟამათ არსებული შევიწროება უბრალო ფორმალისტიკას ემყარება და თუ კარგათ ვეცოდინება ძირითადი კანონები რუსეთის იმპერიისა და ყველა ცირკულიარები, რომელიც სწავლა-განათლებას ეხება—ბრძოლა მთავრობის იმ აგენტებთან, რომლებიც არღვევენ ამ კანონებს და ცირკულიარებს, ჩვენთვის არასოდეს არ იქნება ძნელი. კანონიერების ფარგლებში ჩვენ კბილიც შეგვიძლიან უჩვენოთ მათ და თითიც დაუქნიოთ. მაგრამ არის ერთი მოვალეობა, რომელსაც ჩვენ უნდა ვასრულებდეთ. ცოდნა თავის სიმაღლეზედ უნდა იდგეს ამ გიმნაზიებში.

შინაარსი ამ ცოდნისა დიდი არ არის. რუსეთის საზოგადოებრივ აზრის კრიტიკამ და პედაგოგიკამ დიდი ხანია დაჰკმო ეს ცოდნა, როგორც ნაკლებ ძვირფასი, მაგრამ მე დიდ სიკეთეთ მიმაჩნია ჩვენ უფლებრივ შეგნებისათვის, თუ იმ აზრს შევითვისებთ, რომ მდარე მოვალეობის აღსრულებაც ერთგვარი დისციპლინაა სულისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათისა და აღზრდის განმტკიცებაში.

ჩვენ სწორეთ ამასა ვართ მოკლებული და ჩვენს გიმნაზიებში სავალდებულო ცოდნა ძალზედ დაბლა სდგას. მოკლეთ-ჩვენი გიმნაზიები არ ასრულებენ იმ მოვალეობას, რომელსაც პროგრამმა აკისრებს მათ. ამაშია სწორეთ საიდუმლო იმ ტრაღედიისა, რომლის მაყურებელნი ჩვენა ვართ. შარშან ჩვენს ორივე გიმნაზიაში ანალოგიური მოვლენა მოხდა. თფილისშიც და ქუთაისშიც ჩვენმა ბავშვებმა საატესტატო გამოცდაზედ სრული უცოდინარობა დაამტკიცეს, მაგრამ თბილისის საზოგადოებამ მეტი სიფხიზლე გამოიჩინა და მიზეზი მარცხისა თავის შიგნით მოსძებნა. თფილისის გიმნაზიას ერთი დიდი უპირატესობა აქვს ქუთაისთან: მისი მოღვაწეობა მუდამ საზოგადოების კანტროლის ქვეშ იმყოფება, რადგანაც მისი პატრონი წლიური კრებაა სასკოლო საზოგადოებისა, ამ კრებაზედ გამოჩნდნენ თამამი ადამიანები, რომლებმაც პირუთვნელად დასდვეს მსჯავრი დამნაშავეთ. მე არ გავიხსენებ, რა შედეგი და ცვლილება მოჰყვა საზოგადო კრების კრიტიკას, ეს ეხლა ყველამ იცის. ქუთაისში კი ანალოგიურ ფაქტს სხვა შედეგი მოჰყვა, ბავშვები გამოცდაზედ ჩაიჭრენ და გიმნაზიის გამგეებმა კი გმირის სახელი დაიმკვიდრეს, ჩვენ მათი თავები დაფნებით შევამკეთ და ამ დაფნის ფოთლებს იქით ველარ დავინახეთ ტყე დაღუპულ და გზიდან გადავარდნილ ბავშვებისა.

შ. ამირეჯიბი.

# ახალი ამბავი.

ქუთაისი.

**დეპეშა აკაკი ჩხენკელისა.** გუშინ, 7 ივლისს, დეპუტატმა ჩხენკელმა თბილისს მეფის მოადგილეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

მის ბრწყინვალებას კავკასიის ნამესტნიკს.

ამიერ-კავკასიის მეორე რაიონ-რკინის გზის მუშებმა... ...ში მომართეს თხოვნით... წინაშე შუამდგ... შემდეგი საკითხის გამო. ყველა რკინის გზის მოსამსახურეებს საევაკუაციოთ დახმარება მიეცა, მხოლოდ ამ მუშებისათვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენიათ; მდგომარე წლის მაისში შტატის მუშებს დაურიგეს ქაღალდები, რომლის ძალითაც მოკლე ხანში ფული უნდა მიეღოთ. ხსენებულ მუშებს რკინის გზის მთავრობიდან განკარგულება მოსვლიათ, რომ ეს ქაღალდები უნდა ჩამოართვან. ვრაცხრ ჩემ თავს მოვალედ, მოგმართოთ თქვენო ბრწყინვალებავ და ჩემის მხრით გთხოვთ: დააკმაყოფილოთ თხოვნა ზემოხსენებული მუშებისა. გთხოვთ, განკარგულება მოახდინოთ.

✦ **სასწავლებელში.** ქუთაისის მეორე პირველ-დაწყებით სასწავლებელს, როგორც ქალაქის გამგეობის ანგარიშებიდან სჩანს 1914 წელს ხარჯი ჰქონია სულ 6,596 მან. და 91 კაპ. ამ სასწავლებელის მოწაფეების სწავლის გადასახადისაგან შემოსულა 489 მან. და 91 კაპ. ამ რიგათ ქალაქს ამ სასწავლებლის შენახვა ერთი წლით დაჯდომია 6,107 მანეთი.

✦ **ქუთაისის წყალსადენი.** ამ მოკლე ხანში თბილისიდან ჩამოვლენ ინჟენერი ქურდიანი და მისი ამხანაგები, რომელნიც ქუთ. ქალაქის გამგეობასთან პირობით შეკრულნი არიან—გამოიყვანონ ქუთაისში წყალსადენი ნაქერალას მთიდან ეგრედწოდებულ „მოხოულიდან“. ინჟენრები ერთხელ კიდევ დაათვალიერებენ მოხოულის ცივ წყაროებს. და შემდეგ თავის მოქმედებას შეუდგებიან. წყაროების წყალს დაათვალიერებენ აგრეთვე ქალაქის გამგეობა და ხმოსნები.

✦ **მატარებელი.** წყალდიდობით წამხდარი, ლიანდაგი ფოთიდან ქვალონამდის ჯერაც არშეუკეთებიათ მიმოსვლა შეწყვეტილია.

✦ **უხვი ანდერძი.** კვარას, 5 ივლისს, გარდაიცვალა ქუთაისში თავისს სიმდიდრით ცნობილი გიორგი ბესოს ძე კოსტავა. როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, ქართველთა შორის წერა კითხვის გამ. საზოგადოებისათვის უანდერძებია 1000 (ათასი მანეთი), ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოსათვის 500 (ხუთასი ხანეთი). სამას სამასი მანეთი სამი წლის განმავლობაში უნდა მიეცეს მზითვად ქუთაისის ულარიბესს მართლ-მადიდებელ ქართველ გასათხოვარ ქალს, კენჭისყრით, მთავარ ანგელოზისა, მწვანეყვავილისა და საფირჩხიის ეკლესიებს ას-ასი მანეთი. გარდა ამისა იმ აუარებელ ქონებიდან, რომელიც მის მემკვიდრესბს დარჩათ ერთდროულათ დახმარება მიეცემა ბევრს ქვრივ-ობლებს (ასამდე კაცს, რომელთა სახელი და გვარი ჩამოთვლილია ანდერძში).

✦ **გუბერნატორის დაბრუნება.** გუშინ დილის მატარებლით სამეგრელოდან დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი ბ. პოტულოვი და ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ბ-ნი ფედოროვი. მათ დაათვალიერეს წყალ-დიდობით დაზარალებული დაბა-სოფლები. სხვათა შორის, ინახულეს ქ. ქ. ბათომი, ფოთი და სამეგრელოს სხვა და სხვა სოფელი.

## ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

(იხ. გაგრძელება. ,,სამშ.‘‘ № 121.)

საწევრო გადასახადის შემცირების საკითხმა მეტად გრძელი კამათი გამოიწვია და თითქმის მწვავე ხასიათი მიიღო. ამის შესახებ ილაპარაკა 30-მდე ორატორმა, რომელთა შორის ზოგი მომხრე იყო სამი მანეთისა და უმრავლესობა კი ერთი მანეთისა.

გამგეობის წევრი ი. ბაქრაძე კითხულობს გამგეობის დადგენილებას საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ, რომლითაც აცნობებს კრებას, რომ საწევრო გადასახადის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირება გამოიწვევს საზოგადოების წესდების ერთ-ერთ მუხლის შეცვლას, ეს კი მთავარ გამგეობის საქმეა, ამიტომ უნდა დარჩეს საწევრო ფული სამი მანეთი.

გ. გიორგაძე თავის სიტყვაში ამტკიცებს, რომ თუ საწევრო ფული შემცირებული იქნება ერთ მანეთამდე და ამ დაწესებულების კარები გაეღება მუშა ხალხს, მაშინ წევრების რიცხვი გამრავლდება, ამიტომ დღევანდელი კრების სურვილია საწევრო გადასახადის შემცირებისა აცნობოს ამ განყოფილებამ მთავარ გამგეობას, წესდების შეცვლაზე კი აქ ჩვენ ლაპარაკი არა გვაქვს, ეს იმისი საქმეა.

ა. კრინიცკი. რადგანაც ლაპარაკი ამის შესახებ ბევრჯერ იყო, მომხრეც ბევრია და წინააღმდეგიც, ამიტომ ამ საკითხს დაედგას ყუთი და ეყაროს კენჭი.

ი. ოცხელი. ვეთანხმები ზ. გიორგაძეს, რომ თუ ეს ასე იქნება სიმპატიური საქმეა და უნდა დავადგეთ ამ გზას, მაგრამ ამით წევრთა რიცხვი ვიქვოზ რომ გამრავლდეს; სამი მანეთის მანეთად გადაქცევით ვერ მივაღწევთ იმ მიზანს, რომელსაც ბ. გიორგაძე გვიჩვენებს; წესდებაში გვაქვს ჩვენ მუხლი, რომელიც ლაპარაკობს მანეთიანსა და ორ მანეთიანს წევრებზე, ხოლო ისინი მოხალისე წევრები იქნებიან და მათ კენჭის ყრაში მონაწილეობა არ ექნებათ. კარებიდან ისმის ხმები:

„არა, არა, არ გვინდა".

ი. ოცხელი—ხო, მაშ თქვენ მარტო კენჭის ყრისთვის მოდიხართ, ისე არ გეინტერესებათ ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება!

ა. ჯანელიძე მომხრეა საწევრო გადასახადის შემცირებისა, ხოლო საჭიროა გამგეობამ მოიწვიოს სხვა და სხვა განყოფილებათა წარმომადგენელნი და იქონიოს ისე მსჯელობა.

პ. წულუკიძე—იკითხავს, ვის ემორჩილება ეს განყოფილებანი, ან როგორ უნდა მოიწვიოთ,—უპასუხებენ—მთავარ გამგეობას ემორჩილება, ჩვენ კი უნდა მოვიწვიოთ ამხანაგურათ.

ტ. მარგველაშვილი. წინადადებას იძლევა მოითმინონ ჯერ და უყურონ, რა შედეგი მოყვება ეტნოგრაფიულ საზოგადოებაში საწევრო ფულად მანეთის შემოღებას, გაამრავლებს თუ არა წევრებს.

იოს. კაკაბაძე. საზოგადოება მიზანს მიაღწევს, თუ შეამცირებს საწევრო გადასახადს; უერთდება ა. ჯანელიძის წინადადებას განყოფილებათა მოწვევის შესახებ.

გ. ურატაძე. შესწორება შეაქვს ოცხელისა, ჯანელიძისა და მარგველაშვილის სიტყვებში; აუცილებელ საჭიროებად სთვლის გამოეცალოს ურდული ამ სიმპატიური საზოგადოების კარებს, რათა უფლება ქონდეს მასას შემოვიდეს შიგ და ჩაეწეროს წევრად; ამასთანავე ამტკიცებს, რომ გადასახადის შემცირებით შემოსავალი თუ არ იმატებს, იმ დონეზე მაინც დარჩება, როგორც დღეს არის; შემოაქვს წინადადება კრების სურვილი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ მოხსენდეს მთავარ გამგეობას.

გრ. ლალიძე იცავს იმ დადგენილებას, როგორიც გამოუცხადა კრებას გამგეობამ. რადგანაც ეს საკითხი კარგა ხანია საჯიბრო საქმედ გადაიქცა, ამის გამო დღესაც შეუძლებელია ჩვენი შეთანხმება. წინადადება შემოაქვს დარჩეს საწევრო ფულად სამი მანეთი.

ს. ქიქვიანი. ხალხი გავზარდოთ და ბიუჯეტი კი შევამციროთ, ეგ ვერაფერი მოსაზრებაა: დღეს 400 წევრიდან შემოდის 1200 მანეთი, ამდენივე რომ შამოვიდეს მომავალ წელში, მაშინ ბ. გიორგაძემ უნდა მოგვიყვანოს მანეთიანი წევრი კიდევ 800 და ამას ვერ იზამს, ვერ გვიშოვის ის 800 წევრს.

ვ. წერეთელი. უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორც იდეიურ მხარეს, ისე კომერციულსაც, რადგან ამ საზოგადოებას საშუალება თუ არ ექნება, როგორ და რით გახსნის სამკითხველო—სკოლებს და გამოსცემს წიგნებს?! დღეს ჩვენში ვინც სამი მანეთის მომხრეა, ის კონსერვატორი და ბურჟუა, ვინც მანეთის მომხრეა, ის კი დემოკრატია, ვინც აბაზის მომხრე იქნება ის ხომ უკიდურესი დემოკრატი გახდება და ვინც ერთი კაპიკისა—უუკიდურესი დემოკრატი; აი როგორი შეხედულობის არიან დღეს ბევრი ამ კრების წევრთაგანი საწევრო ფულის შემცირების შესახებ, ხოლო რა შემოსავალი იქნება აქედან, ან რას გააკეთებს საზოგადოება, ამას არ ფიქრობენ.

**ლადო ბზვანელი.**

(დასასრული ხვალ).

## წყალდიდობა.

**ს. გეზათი.** მდინარე რიონს არც მისი უნცროსი ძმა ცხენის წყალი ჩამორჩა: ლეჩხუმიდან რიონის შესართავამდი, ვინ მოსთვლის, რა უბედურება მოახდინა: ლეჩხუმში იმსხვერპლა სამი სოფელი: ზუბი, ისუნდერი და ქულბაქი. ადამიანთა მსხვერპლი უანგარიშოა, ვერ აუდიან რიყეებში დამხრჩვალთა ბოქვას და დასაფლავებას. დაანგრია ოყურეშისა და ოპიტარის ხიდები, რადგან აუარებელი სახლის ნანგრევები ვერ გატეულა ხიდებ-ქვეშ. კინაღამ მოსპო ერთიანად დაბა ბუბუას ხიდი. შუა გაგლიჯა სოფლები გეზათი და ქოლობანი და ჩასწვა ვეშაპივით მათ შორის, მიაქვს ქოლობნის ეკლესია, სკოლა და ასამდის მოსახლობა. სრულიად აოხრა ათი ათასი ქცევობით სიმინდები, აჰყარა და გაანადგურა სოფელი მათხოჯის საუკეთესო კუთხე, იმსხვერპლა რა ოცამდის მოსახლობა, ხე-ტყის საწყობი და ხერხის ქარხანა.

ზარალი, ადამიანთა მსხვერპლი რომ არ ვიანგარიშოთ, მილიონს აღემატება.

რა ეშველებათ სოფლებს: გეზათს, ქოლობანს და იმ სოფლებს, რომლების ავლა-დიდებაც წყალქ-ქვეშ არის მოქცეულ-დაფარული?

ამ გარემოებამ უნდა გამოიწვიოს მთელი ენერგია საგუბერნიო მთავრობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ სოფლებს სრული მოსპობა მოელის.

**გუშაგი.**

## სასულიერო ორგანოს გამოცემის შესახებ.

„შინაური საქმეების" უკანასკნელ № 10-ში, სწერია შემდეგი მოწოდება რედაქტორისა: „დღითი დღე უფრო და უფრო საჭირო ხდება სამღვდელოებისათვის თავისუფალი, დამოუკიდებელი საკუთარი ორგანო. ამას ამტკიცებს არა მარტო საქმის მოთხოვნილება, არამედ ის ბევრისაგან ბევრი შეკითხვა, რომელიც დღემდი მოგვდის. ამისათვის ჩვენ კვლავ მზათა ვართ ხელი მოვკიდოთ დროებით შეჩერებულ ორგანოს გამოცემას შემდეგის პირობით: 1) უკეთუ ხელის მომწერთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ ხუთასისა და გაზეთის ფასი 5 მ; 2) უკეთუ გაზეთი იქნება სრული დამოუკიდებელი და სხ... ვისაც სურვილი აქვს გაზეთი ამ პირობით განახლდეს, უმორჩილესად ვთხოვთ უბრალო ბარათით გვაცნობოს... ამით რედაქცია შეიძლებს ხელის მომწერთა რაოდენობის გათვალისწინებას"...

ჩვენის მხრით ამ მოწოდებაზე შემდეგს მოვახსენებთ პატივცემულ ბ. რედაქტორს მღ. ს. მჭედლიძეს და მკითხველთაც: სასულიერო ორგანო რომ საჭიროა ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ „ვისაც აქვს თვალნი ხედვათ და ყურნი სმენად", ყველა დაგვეთანხმება ამ კითხვის დადებითი მხარეში. როდესაც უკანასკნელ სამღვდელოების კრებაზე წამოაყენეს ამ საგანზე საკითხი, სამღვდელოებამ ერთხმად დაადგინა: გამოიცეს ასეთი ორგანო და, როდესაც ქალაქის სულიერმა მამებმა უარი განაცხადეს ჩვენ ვერ ვკისრებთ ამ საქმესო, მაშინ ერთ-ერთ პროვინციაში გადაიტანეს მისი გამოცემის საქმე. მას შემდეგ კვლავ მეორე გადაწყვეტილება გამოეტანა სამღვდელოებას ამაზე და ჟურნალიც დაედგინათ: „გაგრძელდეს ჟურნალ „შინაური საქმეების" გამოცემა იმავე რედაქტორის ხელმძღვანელობით"... და გამოსაწერი ფულიც დაასახელეს... ამ ჟურნალზე ერთ-ერთს მ. დეპუტატთაგანს თვის რეზოლიუცია გადაეწერა არდი-გარდმო და ასეთი ჟურნალი სხვა ჟურნალებთან ერთად წარედგინათ სადაც ჯერ არს განსახილველად. სასულიერო მთავრობას ამ ჟურნალის სიავ-კარგესა და სწორუპოვრობაში ეჭვი შესვლოდა და გადაეცა გამოსაძევად. მის შესახებ გამოძიება იყო, ვთავჲა კიდეც, მხოლოდ შედეგს ვერ მოვესწარით ჯერჯერობით.

ზემო ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ ასე თუ ისე სამღვდელოებას სურს რომ იქონიოს თვისი ორგანო და თვისი სულის კვეთება მასში გამოხატოს. იმავე კრებაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ორგანო უნდა იყოს სამღვდელოების სულიერი მოთხოვნილების გამომხატველი, ეს ორგანო უნდა იყოს დემოკრატიულ პრინციპზე აგებული ისეთ ნაირათ, როგორიც რეორგანიზაციაა საჭირო საქართველოს ეკლესიისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო სარედაქციო კომისიის შედგენაც.

თუ სხვიმის არა ახლა მაინც დიდი და დიდათ სასარგებლო და სახელდახელოა ორგანო, მისთვის რომ მთელი ქვეყანა ამ ჟამად წარმოადგენს ერთს აბობოქრებულს ზღვას, რომლის ტალღებიც ზედიზედ ეხეთქებიან ერთმანეთს და ვინც იცის, რა მიმართულებას მიიღებს იგი ბოლოს როდესაც ქარიშხალი ჩადგება, დაყუდდება გრიგალი, პირქუშიცა ჩვეულებრივ სახეს მიიღებს და ქვეყანას წარღვნა ასცილდება. ამ ორომ — ტრიალმა და ზეთქსაზეიმის დროს საქართველოც თვისი ეკლესიით ქანაობას დაიწყებს ზღვის ზედა პირზე და შესაძლოა მესაჭე თუ არ ეყოლა სადმე ან მთლათ დაიმსხვრეს, ჩაიძიროს უფსკრულში, ან რომელიმე ნაწილი დაზიანდეს მისი.

ესეც მართალია, რომ ამა თუ იმ ორგანოს გამოცემა დღეს-დღეობით გაძნელებულია როგორც ტეხნიკურათ, ისე შინაგანად. ქაღალდი ძვირი, მუშაობაც ცუდ პირობებში, თანამშრომლები გარეშემოკრება საძნელო, ცენზურა სასტიკი... მაგრამ თუ სურვილი და ენერგიაა, მაშინ ყოველივე დაბრკოლება დაძლეული იქნება.

ჩვენ ვეთანხმებით მ. რედაქტორს, რომ გაზეთია თუ ჟურნალი დამოუკიდებული უნდა იყოს, ესე იგი შებორკილ შეარტახებული არ უნდა იქნეს ვისგანმე, თავისუფლად უნდა განაგებდეს თვის თავს. მხოლოდ თუ მოხერხდება და გამოვიდოდა ისე, რომ წინ და წინ ორგანოს ფასი არ იქნებოდა მოთხოვნილი ხელის მომწერლებიდან, მაშინ უკეთესი იქნებოდა. თუ კი ეს ორგანო სამღვდელოების სურვილის, მიმართულების, აზრის და მისწრაფების გამომხატველი იქნებოდა, მაშინ თავის თავად იგულისხმება, რომ ხელს შეუწყობდა იგი—სამღვდელოება მისი გამოცემის საქმეს არ შეაფერხებდა, ნივთიერად უზრუნველ-ყოფდა გააძლიერებდა ყველაფრამდი მის ხანგრძლივ არსებას, წარმატებას. ძრიელ კარგი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, კომპეტენტ-ავტორიტეტული პირნი,—ვინც უნდა იყოს იგინი,—თავიანთ აზრს საქვეყნოდ გამოსთქვამდენ ამ ფრიად საჭირ-ბოროტო—სამდრო-საგანზე

**კ. გძელი**

### პასუხად ქ-ნ ნინო სვანიძისას.

გაზეთ „სამშობლოს" 95 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ქ. ნინო სვანიძისა, რომელშიაც ის გამოსთქვამდა ქალაქის თვითმართველობის საყურადღებოდ საყვედურს იმის შესახებ, რომ ფული, რომელიც ურიგდება სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახებს მთავრობისაგან, ვითომ, წესიერად არ უნდა იყოს განაწილებული თვითმართველობისაგან, როგორც ამას მოითხოვს საჭიროება, რადგან ზოგს ოჯახში მოხუცი დედმამა დვთის ანაბარათაა მიტოვებულიო. ამასთანავე უთითებს თვითმართველობას იმას, რომ გადმოცემული თანხა მოხმარდეს სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს და ისე მოაწესრიგონ, როგორც მოითხოვს საჭიროებაო".

კეთილი და პატიოსანი. ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ, რას ქვიან საჭიროება და თვით გამგეობას ვინ მისცემს იმდენ ფულს, რომ ის მოიხმაროს ისე, როგორც მოითხოვს საჭიროება?! მეორე, ქალბატონს სვანიძისას წაკითხული აქვს თუ არა ის კანონი, რომლის ძალითაც სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს ეძლევათ შემწეობა მთავრობისაგან., და მერმეთ ამავე კანონზე დასაბუთებული და სამინისტროსაგან შემუშავებული ინსტრუქციები ერთი, თუ ორი? მესამე,—ეძლევათ, თუ არა ყველა სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახში მეოფთ შემწეობა მთავრობისაგან? მეოთხე, ამ ოჯახების აწერის დროს შამოეპარათ მათ, თუ არაყალბი ცნობების აწერა, ესე იგი აწერეს მათ მარტო სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახები, თუ სხვაც? მე მგონია, მათ სიაში მოხვდა იმისთანა ოჯახები, რომლებიც იხდიან სამხედრო ბეგარას საზოგადო კანონის ძალით, რომელთაც უფლება არა აქვთ შემწეობაზე. მეხუთე, დამოკიდებული არის, თუ არა—მათი შემწეობის დანიშნვა და აღნუსხვა ქალაქის თვითმართველობისაგან, თუ ეს დამოკიდებულია სხვა სასამართლოზედაც, (სამხედრო საკრებულოს მართველობა) რომელსაც მეტი ძალა უძევს ამ საქმეში? სანამ ამ კანონებს და მასზე დამოკიდებულ ინსტრუქციებს არ გაეცნობია ქ. სვანიძისა, მანემდის მათი კარნახი თვით მართველობისათვის სულ ფუჭია და უსაფუძვლო, და სანამ. საქმეს ძალიან ახლო არ გაეცნობია, ან მისი კურსი არ იცის, არ არის რიგი რაიმე საყვედური და უწესრიგო სიტყვა, არამც თუ დაიბეჭდოს პრესაში, არამედ წარმოითქვას ორ სამ პირთანაც.

პატივისცემით, თვით მართველობის მოსამსახურეთაგანი **თ. ბახტაძე.**

20 ივნისი 1915 წ.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

სხვადასხვა გარემოებისა გამო [illegible] სის ბოლო რედ[illegible] საშუალება მივიღო მონაწილეობა იმ სასამართლოში, რომლის ერთ-ერთ წევრათ ვიქენი თქვენგან დასახელებული.

**მღ. სპ. ლეკვეიშვილი.**

1915 წ. ივლისის 6.

### ქართ. შორის. წ. კ. ს. ქუთ. გ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა-ალეგრისათვის შემოვიდა შეწირულებაა:

ძმ. იუდა და დანიელ ფიჩხაძისაგან—ერთი საბლუზე და ათი არშ. კუმაჩი. გაბრიელ ფიჩხაძისაგან—1 სკაბე და 1 საბლუზე ჩითი, დანიელ თავდიდიშვილისაგან—6 დანა-ჩანგალი, იაკობ სარიაშვილისაგან—სარკე, პატარა რაფიელ ფიჩხაძისაგან—ნახევარი გირვანქა ჯათოზი, მიხეილ მაწონაშვილისგან—1 ბაშლაყი, 1 ქუდი, შაბათა თავდიდიშვილისაგან—4 ნაბდის ქუდი, იოსებ კაკიტელაშვილისაგან—1 აბრეშუმის შარფი და 1 საბლუზე ჩითი, აბრამ ბუზიაშვილისაგან—2 წყვილი წინდა, არონ პაპიაშვილისაგან—1 შარფი, ძმ. ხანანაშვილებისაგან—1 ჩოთქი თმის და 2 პორსახოცი, იუდა ხანანაშვილისაგან—2 საბლუზე, მიხეილ გაგულაშვილისაგან—4 არშ. ჩითი, მოშა თავდიდიშვილისაგან—9 არშ. ჩითი და სამი ხელსახოცი, ზებუ და ძმ. ფიჩხაძეებისაგან—1 რიდიკული, 1 შარფი, 1 ქოლგა, 3 რწყვილი წინდა და ორი ჯაყვა, თავდიდიშვილისა და რიყინაშვილისაგან—ორი საბლუზე, ისაი იაკობიშვილისაგან—1 საპნე, გიორგი საყვარელიძისაგან, ბეშკენაძე და ჩიხლაძისაგან—ორი წყვილი ხელთათმანი, მოსე ლეჟავასაგან—1 პორტმანე, 1 სავარცხელი, 1 სარკე, 1 ტომსიკა და 1 პენალი, ელექტრო „იდეალის" ფოტოგრაფიის გამგემ 200 პატარა სურათი ჩვენი მწერლებისა, ფოტოგრაფმა ჯავახაძემ მწერლებისა და მოღვაწეთა სურათები, ფოტოგრაფმა ლორთქიფანიძემ—ღია ბარათები მწერლების სურათით და თვით სურათები, ფოტოგრაფმა მიხაილოვმა და „პუშკინი"-ს გამგემ სურათები და ღია ბარათები.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

**ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი**

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს" რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. ø.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**", შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

## აბანო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჰაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ალ. დვალაძე.** თ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში